F-128
1913

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

წელიწადი მეხუთე.



№№ 21 & 24. დეკემბერი 1913 წ.

შინაარსი:

რედაქციისაგან 3

დ. ლამბაშიძე . . . მეორე საერთაშორისო საკოოპერაციო კონგრესი 4

ვ. რუსიშვილი . . ბარიზის რძე 10

გამოსადეგი ცნობანი:

1. ახალი უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლები—2. ბესარაბიის აგრონომიული ინსტიტუტი,—3. საოჯახო სამეურნეო სასწავლებელი ქალთათვის,—4. აგრონომიული მატარებელი,—5. ინგლისიდან გამოწერილი საქონლის ბუღები და ჰედილები,—6. კოოპერატიული სოფელი,—7. სამელიორაციო სესხი,—8. ადგილობრივი ჯიშის საქონლის მნიშვნელობა,—9. სანოვაგეთა ლაბორატორია 12

ჟურნალი წელიწადში ღირს—3 მანეთი. | მისამართი: Тифлисъ, Барятинская, 5.

ტფილისი. 1913 წ

ეროვნული ბიბლიოთეკა

8.ᲓᲘ-3
1913

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ

თანამშრომელთა საყურადღებოდ.

ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზად არის აღმოუჩინოს **„მოსავალი“**-ს მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შეძენა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **სამი შაური.**

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით.**

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲬᲘᲒ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪ. ᲥᲐᲠᲗᲕ. ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡᲐ

F-5390

რედაქციისაგან

ხუთი წელიწადია, რაც ჟურნალი „**მოსავალი**“ იბეჭდება. აქამდე იგი კერძო გამოცემა იყო, 1914 წლიდან კი ქართულ სამეურნეო საზოგადოების ორგანოდ ხდება. ამ ცვლილებას ძოჰყვება ჟურნალის შინაარსის გამოცვლაც. აქამდე ჟურნალი „**მოსავალი**“ იყო, ასე რო ვსთქვათ, მხოლოდ კრებული სამეურნეო წერილებისა, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში, შეიცავდნენ მეურნეობაში გამოსაყენებელ თეორიულსა და პრაქტიკულს სწავლა-დარიგებას. რაც ამ ხუთი წლის განმავლობაში დაბეჭდილა ჟურნალ „**მოსავალ**“-ში, მას დღესაც და მომავალშიაც (ახლო მომავალში მაინც) ისეთივე მნიშვნელობა აქვს და ექნება ჩვენს მეურნესათვის, როგორი მნიშვნელობაც ჰქონდა მაშინ, როცა იბეჭდებოდა.

ამას იქით კი ამ მხრივ ჟურნალი ცოტათი შეიცვლება. როგორადაც ორგანო საზოგადოებისა, იგი პირველ ყოვლისა იქნება ქართ. სამ. საზოგადოების მოქმედების გამომხატველი. გარდა იმისა რომ ჟურნალი მიაწვდის თავის მკითხველს სწავლა-დარიგებას მეურნეობის ყოველ დარგში, იგი დარაჯად დაუდგება ყოველ საკითხს ჩვენის ეკონომიური ცხოვრებით გამოწვეულს და ეცდება მის წესიერად განმარტებას და გადაწყვეტას.

რა მნიშვნელობა ჰქონდა ან რა სარგებლობა მოიტანა ჟურნალის არსებობამ ამ ხუთი წლის განმავლობაში, დეე სთქვას იმან, ვინც ამ სარგებლობას თავის საკუთარ მეურნეობაში დაინახავს ან უკვე ხედავს. მომავალი კიდევ თავისას იტყვის. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ რომ ჟურნალ „**მოსავალი**“-ს არსებობა თვით დრომ მოიტანა და არა მოულოდნელად დაბადებულმა ინიციატივამ: 29 იანვარს 1909 წელს გამოვიდა სომხური სამეურნეო ჟურნალი „**გიუხატნტესი**“, 14 მაისს იმავე წელს ჟურნალი „**მოსავალი**“.

ამ ორივე ჟურნალის არსებობიდან დაისკვნა აზრი სომხური და ქართული სამეურნეო საზოგადოებათა დაარსებისაც. პირველი მათგანი დაარსდა 28 მაისს 1909 წელს, ხოლო მეორე—22 დეკემბერს 1910 წ.

თუ ოდესმე ეს სამეურნეო გამოცემანი და მათ მომდევნო სომხური და ქართული სამეურნეო საზოგადოებანი დაიმსახურებენ საპატიო ადგილს ჩვენს ცხოვრებაში და ღირსნი გახდებიან პირუთვნელ ისტორიისა, მათ წარმოშობის დასაწყის ნიშნებს ადვილად იპოვის ისტორიკოსი საიმპერატორო კავკ. სამეურნეო საზოგადოების მოქმედებაშიაც.

უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია სადღეისოდ ის გარემოება, რომ, მიუხედავად უხვი თანაგრძნობისა ჟურნალ „**მოსავლისადმი**“ როგორც აგდილობრივ პრესაში ისე შორეულშიაც და თვით მკითხველთა შორისაც, ჟურნალი ამ ხუთის წლის განმავლობაში დიდ შევიწროებას განიცდიდა მატერიალურად. ადვილი წარმოსადგენიცაა ეს, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თვით რუსეთში აქნობამდე ვერც ერთი სა-

საქ. სსრ კ. მარქსის

მეურნეო პერიოდული გამოცემა ვერ ახერხებს თავის არსებობას გარეშედ დაუხმარებლივ და ჟურნალ **„მოსავალს“** კი არავითარი დახმარება არსაიდან არც უთხოვია და არც მიუღია გარდა 300 მანეთისა, რომელიც ტფილისის თავად-აზნაურობამ მისცა ჟურნალს 1910 წლის დამლევს, 81 მან. 51 კ., რომელიც სამეურნეო ბანკიდამ მიიღო ჟურნალმა 1911 წელს და ბ-ნ შიუკაშილისაგან ეხლახან შემოწირულ 5 მანეთისა, რისთვისაც ჟურნალი გულითად მადლობას უცხადებს შემომწირველთ.

ვუსურვებთ ჟურნალ **„მოსავალს“** რომ შემდეგ მაინც გაუღიმოს ბედმა და დაუმყარდეს ქონებრივი უზრუნველყოფა.

მეცხრე საერთაშორისო საკოოპერაციო კონგრესი

მეცხრე საერთაშორისო საკოოპერაციო კონგრესი გაიხსნა ქალაქ გლაზგოვში, შოტლანდიაში, ამა წლის 25 აგვისტოს და დამთავრდა 28 აგვისტოს. სულ დაესწრო ამ კონგრესს 600 დელეგატი ყველა ქვეყნებიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ 2.000.000 კოოპერატორებს.

340 დელეგატი იყო ბრიტანიის, 100—გერმანიიდან, 100—საფრანგეთიდან, ბელგიიდან და შვეიცარიიდან, 50—ავსტრო-უნგრეთიდან და დანარჩენი სხვა ქვეყნებიდან.

რუსეთიდან იყო გამოგზავნილი 2 დელეგატი, უკრაინიდან—1 და **საქართველოდანაც—1**. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში კოოპერატიული მოძრაობა ჩვენი ქვეყნისაზე უფრო განვითარებულია, დაუდევრობის გამო, ორ დელეგანტზე მეტი ვერ გამოგზავნეს.

კრება გახსნა საერთაშორისო საკოოპერაციო კავშირის თავჯდომარემ ბ. მაქსუელმა. მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვით მან დახასიათა საკოოპერაციო მოძრაობა მთელ დედა-მიწის ზურგზე, შემდეგ კონგრესს მიმართეს სიტყვით ქალაქ გლაზგოვის თვითმართველობის წარმომადგენლებმა.

გრაფმა ბრეიმ, ყოფილმა კანადის გენერალ-ღუბერნატორმა და საერთაშორისო კავშირის საპატიო თავჯდომარემ ისტორიულად მიმოიხილა საკოოპერაციო მოძრაობის განვითარება უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში. მან სიხარულით აღნიშნა ბრიტანიის წინამძღოლობა საერთაშორისო საკოოპერაციო მოძრაობის შეერთებაში.

შემდეგ საერთაშორისო კომიტეტის თავჯდომარემ ვილიამსმა წაიკითხა მოხსენება საკოოპერაციო მოძრაობის განვითარების შესახებ 1910 წლიდან, ე. ი. მერვე კონგრესის შემდეგ, ჰამბურგში. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ახალი კოოპერატიული საზოგადოებანი შემოუერთდნენ საერთაშორისო კავშირს. ქვემოდ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ როგორ მოხდა კავშირის გაძლიერება. კავშირის წევრებად ითვლებიან:

1. ავსტრიიდან: მომხმარებელ საზოგადოებათა ცენტრალური კავშირი, რომელიც შესდგება 504 ამხანაგობიდან.
2. ბელგიიდან: ცენტრალური კოოპერატიული კავშირი 102 ამხანაგობით.

3. ჩეხიიდან: ცენტრალური კავშირი265 ამხანაგობით.
4. ფინლიანდიიდან: ცენტრალური კავშირი 168 ამხანაგობით.
5. საფრანგეთიდან: ნაციონალური ფედერაცია მომხმარებელ კოოპერატივთა 640 ამხანაგობით.
6. გერმანიიდან: მომხმარებელ ამხანაგობათა ცენტრალური კავშირი 1168 ამხანაგობით.
7. ჰოლანდიიდან: 144 ამხანაგობა.
8. შვეიცარიიდან მომხმარებელ ამხანაგობათა კავშირი 369 ამხანაგობით.

როგორც სჩანს, ზემო აღნიშნულ ქვეყნებიდან საერთაშორისო საკოოპერაციო კავშირის წევრებად ყოფილან ცენტრალური კავშირები და არა ცალ-ცალკე ამხანაგობანი.

ამას გარდა, ცალ-ცალკე ამხანაგობათა რიცხვმაც იმატა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში: 815-დან 3871-მდე. წევრთა რიცხვის მომატებას თან მოჰყვა საწევრო გადასახადთა მომატება და ამრიგად საერთაშორისო კავშირის ქონებრივი მომაგრება.

მაგ. საერთაშორისო კავშირის შემოსავალი უდრიდა:

1910 წ.	1911 წ.	1912 წ.
26.000 მან.	28.000 მან.	27.000 მან.

ბ. ვილიამსის მოხსენება კონგრესმა ერთხმად მიიღო. შემდეგ მან განიხილა ცენტრალური კომიტეტის წინადადება საწევრო გადასახადის შესახებ და შემდეგი დაადგინა:

თითო კოოპერატიული ამხანაგობა საწევრო გადასახადად იხდის 3 მან.—თუ მის წევრთა რიცხვი 500-ზე ნაკლებია: 6 მან.—თუ წევრთა რიცხვი 3000-მდეა. და 12 მან.—თუ ათი ათასამდეა. 20 მან.—თუ ათი ათასს აღემატება.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც საკოოპერაციო საზოგადოებას აქვს განსაკუთრებული სამოქმედო რაიონი და ან ეროვნული ხასიათი და ამრიგად ცალკე კავშირს შეადგენს, საწევროს იხდის 50 მან.—თუ მისი საერთო წევრთა რიცხვი ათი ათასს არ აღემატება და ან შემადგენელ ამხანაგობათა რიცხვი სამასზე მეტი არ არის. თუ წევრთა ან ამხანაგობათა რიცხვი ამაზე მეტია, მაშინ 100 მან.—იხდის.

ამ ახლად მიღებულმა დადგენილებამ შესამჩნევად შეამცირა საწევრო გადასახადი და გაადვილა საერთაშორისო კავშირში შესვლა.

ამით დასრულდა პირველი სხდომა 1 საათზე და ნასადილევს სპეციალურად მომზადებულ ტრამვაებით გავემგზავრეთ გლაზგოვის ახლო მდებარე ქალაქს შილდჰოლში, სადაც შოტლანდიის საკოოპერაციო კავშირის ქარხნებია. ქარხანათა გამგე კომიტეტის თავჯდომარემ მოგვმართა მოკლე სიტყვით და აგვიწერა ქარხანათა 50 წლის ისტორია. შემდეგ დაგვყვეს ჯგუფებად და ქარხნები გაგვაცნეს: ფეხსაცმელების, ტანისამოსის, საპნის, ყავის, ქიმიური, სართავი, პურის საცხობი და წისქვილები. ყველა ქარხნებში 8 საათის სამუშაო დღეა დადგენილი და მუშები, ქალი და კაცი, ძლიერ ჯანმრთელად და მხიარულად გამოიყურებიან, რაიც იმის მაჩვენებელია, რომ ისინი კარგს პირობებში მუშაობენ.

ქარხანათა დათვალიერების შემდეგ თვითოეულ დელეგატს საჩუქრად მისცეს დიდი ყუთი საკოოპერაციო ნა-

წარმოებთა ნიმუშებით, რის შემდეგაც თავიანთ ბინებზე დავბრუნდით.

*
* *

24 აგვისტოს სხდომა. ცენტრალური კომიტეტის წევრმა მ. გეთჰარდმა წაიკითხა მოხჩენება **საერთაშორისო მშვიდობიანობის** შესახებ. იგი ვრცლად შეეხო ბალკანეთის ომს და მის მიერ გამოწვეულ ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის საომარ მზადებას. გამოსთქვა ის აზრი, რომ კოოპერატორები ყველა ქვეყნებში უნდა სცდილობდნენ მშვიდობიანობისა და თანასწორობის დამყარებას. შემდეგ ილაპარაკა კონგრესის თავჯდომარემ ბ. ჰაქსუელმა და გერმანიის და საფრანგეთის დელეგატებმა, რის შემდეგაც კონგრესმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„კონგრესი სრულად ეთანხმება საერთაშორისო კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მიერ მიღებულს ზომებს. მას სწამს, რომ საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვა ერთად ერთი საშუალებაა საკოოპერაციო მოძრაობის განვითარებისა და მის მიზანთა განხორციელებისათვის. კონგრესი აღნიშნავს მთელ განათლებულ კაცობრიობის წინაშე, რომ დღევანდელი არა-ნორმალური ხარჯები, რომლებსაც დიდი სახელმწიფონი ეწევიან შეიარაღებისათვის, მოისპობიან, ვინაიდან ყველა ქვეყნებში საკოოპერაციო მოძრაობა ფეხს იდგამს და ამნაირად ნიადაგს აცლის გაბატონებულ კლასებს. კონგრესი მოუწოდებს ყველა ერებს რათა იგინი შეუერთდნენ საკოოპერაციო მოძრაობას და სიამოვნებით მიეგებება კოოპერატორთა მიერ ომის წინააღმდეგ მიღებულ ზომებს. ეგრედვე იგი სიამოვნებით ეგებება მუშების სხვა და სხვა ორგანიზაციათა მიერ ამავე მიზნით მოხდენილ დემონსტრაციებს“.

მეორე მოხსენება შეეხებოდა ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, სახელ დობრ: **საერთაშორისო კოოპერატიულ მომხმარებელ და სამეურნეო ამხანაგობათა შორის ვაჭრობას**. მომხსენებელი იყო გერმანიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის თავჯდომარე ბ. კაუფმანი.

უკვე ხუთი წელიწადია, რაც ეს საკითხი დაისვა საერთაშორისო კავშირის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ საკოოპერაციო მოძრაობა ბევრს ქვეყნებში ძლიერ განვითარებულია, ყველა მათგანი ჯერ-ჯერობით ადგილობრივ მუშაობს და თავის ქვეყნის ფარგლებს იშვიათად !ცილდება. მაგ. იმ დროს, როდესაც ინგლისის და შოტლანდიის კოოპერატორებთა ვაჭრობა წლიურად ხუთას მილიონს მანეთს უდრის, მათ მიერ გაგზავნილ საქონლის ფასი საზღვარ გარედ მხოლოდ 280.000 მანეთია. მეორე მხრივ, გერმანიის, იტალიის და შვეიცარიის სამეურნეო ამხანაგობანი თავის საქონელს საერთოდ კერძო ვაჭრებზე ასაღებენ, რაიც ძლიერ ხელს უშლის საერთაშორისო კოოპერატივების კერძო კაპიტალისაგან განთავისუფლებას. რომ ამ მოვლენას ბოლო მოეღოს საერთაშორისო კავშირთან არსებობს კომისია, რომლის მიზანია საკოოპერაციო საერთაშორისო აღებ-მიცემის ხელი შეუწყოს.

ამ კონგრესზე განზრახული იყო გამოფენის გამართვა, მაგრამ რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის კოოპერატივებმა დიდი სიზანტე გამოიჩინეს, იგი ველარ მოხერხდა.

ბ. კაუფმანმაც ვერ გაამართლა დელეგატების მოლოდინი და რეზოლიუციაც კი არ გამოუტანია კონგრესს ამ საკითხის შესახებ. ამისი მიზეზი შემდეგია:

> რომ საერთაშორისო საკოოპერაციო ვაჭრობას მტკიცე საფუძველი მიეცეს, საჭიროა დიდი ფინანსიური და ორგანიზაციული მსხვერპლი, რომლის გაწევაც ერთბაშად არ შეიძლება, არამედ თან-და-თან უნდა მომზადდეს ამისათვის ნიადაგი.

კონგრესმა საჭიროდ დაინახა, რომ ყველა ქვეყნებში ამ საკითხის გარკვევას დაუყონებლივ შეუდგნენ, რომ შემდეგი კონგრესისათვის შესაძლებელი გახდეს პრაქტიკული ზომების მიღება. სხდომა გათავდა პირველ საათზე და ნასადილევს მეპურეთა კოოპერაციის ორკესტრის თანახლებით სპეციალურად დელეგატთათვის დამზადებულ მატარებლით გავემგზავრენით ქალაქ ედინბურგში, რომელიც გლაზგოვს 60 ვერსის მანძილით შორდება და შოტლანდიის ძველი სატახტო ქალაქია. ერთი საათის შემდეგ უკვე ამ ქალაქში ვიყავით. სადგურზე გვიცდიდა ოც-და-ათი ომნიბუსი, ჩვენთვის სპეციალურად მომზადებული, რომლებითაც დაგვატარეს მთელი ქალაქი. შემდეგ ქალაქის თეატრში ადგილობრივი კოოპერაციული საზოგადოება გაგვიმასპინძლდა სადილით, რომლის დროსაც უკრავდა მუშათა ორკესტრი. მოსახსენებელია ამასთანავე, რომ ამ თეატრის დარბაზში წარსულ საუკუნის ცნობილმა შოტლანდიის მწერალმა უალტერ-სკოტმა პირველად წაუკითხა საზოგადოებას თვისი პირველი ნაწარმოები.

ამ საზოგადოებას ყავს 43.000 წევრი.

საღამოს 9 საათზე სპეციალური მატარებლით დავბრუნდით ქ. გლაზგოვში.

* * *

27 აგვისტოს სხდომაზე აირჩიეს საერთაშორისო კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრები შემდეგი წესით:

ინგლისიდან	7	წევრი.
გერმანიიდან	7	„
ავსტრიდან	5	„
შვეიცარიიდან	3	„
ჰუნგრეთიდან	3	„
საფრანგეთიდან	4	„
დანიიდან	2	„
ბელგიიდან	2	„
ფინლიანდიიდან	2	„
რუსეთიდან	2	„
შვეციიდან	2	„
იტალიიდან	2	„
ჰოლანდიიდან	1	„
ნორვეგიიდან	1	„
რუმინიიდან	1	„
სერბიიდან	1	„

ამნაირად კომიტეტში 16 სახელმწიფოს ჰყავს წარმომადგენელი.

არჩევნების შემდეგ ბ-ნმა ვილიამსმა წაიკითხა რეფერატი შემდეგ თემაზე: **„საკოოპერაციო საზოგადოებათა ურთიერთ შორის დამოკიდებულება სხვადასხვა სახელმწიფოში და მათი საერთაშორისო კავშირი.“** მან გამოარკვია რომ საერთაშორისო კავშირში ჯერ-ჯერობით უმეტესად მხოლოდ მომხმარებელი ამხანაგობანი შედიან და სამეურნეო საზოგადოებანი. იმის და მიუხედავად, რომ ბევრს სახელ-

მწიფოებში იგინი ძლიერნი არიან, ჯერ-ჯერობით კავშირს არ უერთდებიან, რადგან, სამწუხაროდ, ბევრს ქვეყნებში კიდევ ის აზრი მეფობს, თითქოს თვითეულ კოოპერაციის თვითოეულ დარგს თავისი საერთაშორისო კავშირი უნდა ქონდეს. ტეხნიკურის მოსაზრებით, ეჭვს გარეშეა, ასეთი ორგანიზაცია სასარგებლო იქნება, მაგრამ მას არ ექნება ის მორალური ძალა, რომელიც ასრე საჭიროა საკოოპერაციო იდეალების განსახორციელებლად. ამ საკითხის შესახებ კონგრესმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

„კონგრესი ამოწმებს ჰამბურგის 1910 წლის საერთაშორისო კონგრესის მიერ მიღებულ რეზოლუციას და აცხადებს, რომ საერთაშორისო კავშირი ღია არის ყოველგვარ საკოოპერაციო დარგთა ამხანაგობათათვის. იგი იწვევს ყველა საკოოპერაციო ამხანაგობათ და კავშირთ სხვადასხვა ქვეყნებისას, რათა ისინი შეუერთდნენ საერთაშორისო კავშირს“.

ეს რეზოლუცია ერთ-ხმად იქმნა მიღებული და 1 საათზე სპეციალურად მომზადებულ მატარებლით გავემგზავრენით ქ. ბეისლიში, სადაც არსებობს უდიდესი მთელ ლედამიწის ზურგზე კოოპერატიული სართავი ქარხანა. ქარხანიხ შესავალთან დაგვხვდა შოტლანდიელი ორკესტრი, რომლის ინსტრუმენტები ჩვენებურ დუდუკებს წააგვანან. ქარხანაში მუშაობს 2000 ქალი და კაცი. მასში 8 საათის სამუშაო დღეა დაწესებული. დათვალიერების შემდეგ სადილით გაგვიმასპინძლდნენ, რის შემდეგ ისევ გოლანდიაში დავბრუნდით საღამოს 8 საათზე. აქ ქალაქის თავმა გამგეობის წევრთა და სხვა საპატიო მოქალაქეთა თანადასწრებით ბანკეტი გაგვიმართა, რომელზედაც ბევრი მისალოცი სიტყვები წარმოითქვა.

* * *

28 აგვისტოს მოხდა უკანასკნელი სხდომა, რომელიც შემდეგი საკითხების განხილვას მოუნდა: დოქტორმა შერმა წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „საკოოპერაციო ჟურნალ-გაზეთები, როგორც განმანათლებელი საშუალებანი“.

„სამუელის კავშირი“ გამოიცა შულცედელიჩის მიერ 1801 წელში. მან გამოიანგარიშა, რომ საშუალო რიცხვით ყველა ქვეყნებში ყველა კოოპერატიულ საზოგადოებათა ორგანოებს 1,420,000 მკითხველი ყავთ. მაშინ როდესაც კოოპერატორთა რიცხვი უდრის 21,756,000.

მთელ ლედამიწის ზურგზე მხოლოდ 6,5% კოოპერატორთა არის ხელის-მომწერი კოოპერატიულ ორგანოებზე. ყველაზე ნაკლები ხელის-მომწერი რუსეთშია—0,6%. ყველაზე საუკეთესო კოოპერატიულ ჟურნალებად მოხსენების ავტორმა იცნო:

„კოოპერატიული მოამბე“, რომელიც მანჩესტერში გამოდის და „შოტლანდელი კოოპერატორი“—გლაზგოვში. საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობის ინტერესებისათვის მან საჭიროდ დაინახა, რომ „საერთაშორისო კავშირის ბიულეტენის“ პროგრამა გაფართოვდეს, ესე იგი მასში ვრცლად უნდა ირკვეოდეს საერთაშორისო საკოოპერაციო ვაჭრობის საკითხები. აგრეთვე უნდა გამოდიოდეს სპეციალური ყოველ-კვირეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი, რომელიც განსაკუთრებულ ცნობებს უნდა აწვდიდეს სხვა ქვეყნების საკოოპერაციო ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს. ამასთანავე მომხსენებელმა საჭიროდ სცნო, რომ თვითეული ქვეყნის კოოპერატორთა ჟურნალ-გაზეთები შეერთდნენ, რათა ძალები არ იქნენ დაქსაქსულნი.

დასასრულ კონგრესმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

„მე-9 საერთაშორისო საკოოპერაციო კონგრესი წინადადებას აძლევს ყველა საკოოპერაციო კავშირებს კოოპერაციის იდეისდა განათლების გასავრცელებლად გამოსცენ საპროპაგანდო ჟურნალები, რომლებიც შეძლებისადაგვარად წევრებს უფასოდ უნდა დაურიგდნენ. ასეთი ჟურნალები არამც თუ მარტო საკოოპერაციო აზრების გავრცელებას შეუწყობენ ხელს, არამედ იგინი გაიუმჯობესებენ საკოოპერაციო ტეხნიკურ მხარესაც. კონგრესი განსაკუთრებით საჭიროდ სთვლის ასეთ ჟურნალებს დიდს საკოოპერაციო ამხანაგობათათვის, რათა მათი დემოკრატიული ხასიათი დაცულ იქნეს. კონგრესი წინადადებას აძლევს საერთაშორისო კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, რათა მან გააღრმაოს „ბიულეტენის“ შინაარსი და გამოსცეს სპეციალური „ბიულეტენი“ საკოოპერაციო კორესპონდეციებისათვის, რომელი „ბიულეტენითაც სხვა-და-სხვა ქვეყნების კოოპერატივებს შეეძლოთ სარგებლობა“.

ეს რეზოლიუცია ერთხმად იქმნა მიღებული კონგრესის მიერ.

F-5390

შემდეგ, ბ. ბუფოლიმ, იტალიის დელეგატმა, წაიკითხა რეფერატი შემდეგ თემაზე: **„რამოდენიმე მომხმარებელ ამხანაგობათა არსებობა ერთსა-და-იმავე და მეზობელ რაიონებში, ამ მოვლენის შედეგი და მათი გასასწორებელი საშუალებანი“**. შინაარსი ამ რეფერატისა მოკლედ შემდეგი იყო:

„შვეიცარია—სამაგალითო ქვეყანაა მომხმარებელ ამხანაგობათათვის, რადგან იქ ყოველ ამხაგობას თავისი სამოქმედო რაიონი აქვს და მათ შორის მეტოქეობა შეუძლებელია. დანიაში, შვეციაში და ჰუნგრეთში ეს მეტოქეობა ძლიერ მცირე მნიშვნელოვანია, ხოლო რაიცა შეეხება ინგლისს, ამ მომხმარებელ ამხანაგობათა მშობელ ქვეყანას, აქ დიდი მეტოქეობა არსებობს. ესეთივეა მდგომარეობა გერმანიაში, ბელგიაში და ავსტრიაში. რუსეთში მომხმარებელი ამხანაგობანი ჯერ კიდევ განცალკავებული მუშაობენ. ჰოლანდიაში არსებობს მომხმარებელ ამხანაგობათა სამი კავშირი: ნეიტრალური, სოციალისტური და კათოლიკეთა. ესეთივე მდგომარეობაა იტალიაში. რაიცა შეეხება საფრანგეთს, იქ დიდი მეტოქეობა სწარმოებს შემდეგ ქალაქებში: პარიზში, ლორიანში, რუბეში, კრეოზოში და ლიონში. შედეგი ამ მეტოქეობისა ამ ქვეყნებში შემდეგია: ძალთა დაქსაქსვა, შენობებზე ზედ-მეტი ფულის ხარჯვა და სავაჭრო მეტოქეობა, რაიც კოოპერაციის იდეის დამმარხავია“.

მიიღო-რა კონგრესმა მხედველობა-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ში ზემოხსენებული მოხსენება, შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

„მომხმარებელ ამხანაგობათა შორის მეტოქეობა ასუსტებს საკოოპერაციო მოძრაობას ეკონომიურად და სოციალურად. ამისათვის საერთაშორისო კონგრესი წინადადებას აძლევს კოოპერატიულ კავშირებს, რათა მათ შემდეგი ზომები მიიღონ:

1. ხელი შეუშალოს ორ მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსებას ერთსა და იმავე ადგილში;
2. შეაერთოს ერთსა და იმავე ადგილში უკვე არსებული მომხმარებელი ამხანაგობანი;
3. ნება არ მისცეს მეზობელ ადგილებში არსებულ კოოპერატიულ ამხანაგობათ, რომ მათ ერთმანეთს მეტოქეობა გაუწიონ.

შვეიცარიის საკოოპერაციო კავშირის მიპატიჟების თანახმად **შემდეგი კონგრესი, 1916 წ. ქ. ბაზელში (შვეიცარიაში) დაინიშნა.**

დასასრულ, გამოსათხოვარი სიტყვით მოგვმართა კონგრესის თავჯდომარემ ბ. ვილიამსმა და წინადადება მოგვცა, რომ ხელი-ხელ ჩაკიდებულ ბ გვემღერა შოტლანდიური ნაციონალური ჰიმნი.

აქით დასრულდა მე-9-რე საერთაშორისო საკოოპერაციო კონგრესი.

ნაშუადღევს შოტლანდიის საკოოპერაციო კავშირის გემით გავემგზავრენით გლაზგოვის ნავთსადგურის დასათვალიერებლად. უნდა მოვიხსენიოთ, რომ გლაზგოვში შენდება უდიდესი გემები.

—

ამით ვათავებთ ჩვენს მოკლე ანგარიშს, ვინაიდან დაწვრილებით კონგრესის ნამუშევარის გარჩევა სპეციალურ შრომას მოითხოვს.

ვუსურვებ ჩვენს პატარა სამშობლოს, რომ შემდეგ კონგრესზე სრულიად საქართველოს საკოოპერაციო კავშირით წარდგომოდეს. ასეთი კავშირი აუცილებელი საჭიროებაა ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან კოოპერაცია უძლიერესი იარაღია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური გამაგრებისათვის.

ქარ. სამ. საზ. დელეგატი

დავით ღამბაშიძე.

პარიზის რძე

პარის რძის მიმცემი სამი დიდი მერძეველთა ამხანაგობაა: **Société Laitiér Maggi, Société Laitiére des Fermiers Réunis** და **Société Laitiére Crêmiers Réunis.**

ამ საზოგადოებათა მოქმედება აგებულია შემდეგ გეგმაზე: თითოეულს მათგანს აქვს სოფლად ერთი **უმთავრესი დეპო,** რომელიც აგროვებს რძეს რაიონში 60—70 ვერსის მანძილზე. ეს რძე რაიონში გროვდება ჯერ პატარ-პატარა დეპოებში, ეგრედ წოდებულ დებორდაჟებში და მერე აქედან იგზავნება უმთავრეს დეპოში. უმთავრეს დეპოდან რძეს, კარაქს, ერბოს გზავნიან პარიზის დეპოში გასასაღებლად. თუ პარიზის დეპოს დარჩა რძე გასაყიდი, დეპო აქვე დაამუშავებს მას კარაქად. თუ კარაქი დარჩა გაუყიდავი, გზავნის მას უმთავრეს დეპოში ერბოთ დასამუშავებლად. რაც გადარჩება რძის დამუშავებას, მას ცენტრალური დეპო ხმარობს ღორების საკვებად, რომელნიც აქვე რძე-ხანასთან ინახებიან. წვრი-

ლი დეპოები, დებორდაჟები, დაქსაქსულნი არიან რაიონში პარიზის გარშემო თითქმის 200 ვერსის მანძილზე. ეს წვრილი დეპოები ზაფხულობით თვით უკეთებენ რძეს პასტერიზაციას, ზამთრობით კი მათ მოვალეობას შეადგენს მოაგროვონ რძე მეურნეთაგან და გზავნონ ცენტრალურს დეპოში.

მეურნეთაგან რძეს აგროვებს თვით დეპო და არა მეურნეს მოაქვს დეპოში. დეპოს ამისათვის აქვს გამართული ეტლი, ჰყავს ცხენები და რძის მიმღები მეეტლე, რომელიც დილის 4 საათიდან შეუდგება ხოლმე თავის რაიონში რძის მოგროვებას. რძეს მიიწყავს მეეტლე საწყაოთი და ჩაასხავს საერთო ჭურჭელში, ბიდონში, რომელიც ეტლზე დგას.

რძის რაოდენობას მიმღები ნიშნავს წინგშიაც და თავის დავთარშიაც. დავთარში ჩაწერილი რძის რაოდენობის შემოწმება ხდება ამ პატარა წიგნების გაშინჯვით, რომელიც მერძეველთა აქვთ სახლში.

რძეების მოგროვება ხდება დღეში ორჯელ—დილით 4 საათიდან და საღამოთი ნაშუადღევს 3 საათიდან. დილით მოწველილ რძის არევა საღამოთ მოწველილში სასტიკად არის აკრძალული, უფრო იმიტომ რომ რძე არ დამჟავდეს. დილისა და საღამოს რძეში ცხიმის რაოდენობა სხვადასხვაა. საღამოთი მოწველილ რძეს სამი გრამით მეტი ცხიმი აქვს ხოლმე თითო ლიტრაზე, ვიდრე დილით მოწველილ რძეს.

რომ არც წყლის დასხმა შეეძლოთ რძის პატრონებს და არც ნაღების მოხდა, დრო გამოშვებით მეეტლესთან ერთად დაიარება კონტროლიც, რომელიც იღებს თავის თვალ-წინ ჩამოწველილს რძეს, მოაქვს და ადარებს ამავე პატრონისაგან წამოღებულ რძეს. რძის ნიმუშების მიღებაში საეჭვო პირებისაგან კონტროლი მოწმეებს დაისწრობს ხოლმე.

თუ რამე თაღლითობა აღმოჩნდა, დამნაშავეს უჩივიან სასამართლოში და კანონი აჯარიმებს. განმეორებულ ხელმრუდობისათვის სუდი ციხეს გადაუწყვეტავს ხოლმე დამნაშავეს.

შეკრეფილ რძეს მეეტლე მიიტანს დეპოში და ჩააბარებს წყვით. მოკრეფილ რძის რაოდენობას დეპო 2—3 ლიტრით ნაკლებს ანგარიშობს იმაზე რაც დავთარში უწერია მეეტლეს, რადგან, ვიდრე დეპოში მოვა, რძეს ცოტა აკლდება ბიდონში ჩასხმის დროს აქაფებულ რძის დამშვიდებით და სხვა მიზეზებით. ეტლი რო მოვა დეპოში, ყველა ბიდონებს ახდიან პირს და რძის გამშინჯავი შინჯავს რძეს გემოთი. რომელიც მომჟაობს ცალკე სდგავს და სეპარა ტორში გაჰყავთ ნაღების მოსახდელად. დანარჩენ რძეს კი გასწურავენ საცერში, გაუკეთებენ პასტერიზაციას, ესე იგი გააცხელებენ 75°-მდე ცელსიის ტერმომეტრით, და შემდეგ საჩქაროდ გააციებენ 8—13°-მდე.

რძის პასტერიზაციას ორნაირი აზრი აქვს. ჯერ ერთი ის რომ გაცხელებით მეტი წილი ბაქტერიები იხოცებიან რძეში და, მაშასადამე, შიში აღარ უნდა ჰქონდეს რძის დამლევს, რომ რამე გადამდები ავადმყოფობა შეეყრება მას, და მეორეც ის, რომ ასეთი რძე მალე არ დამჟავდება. რძის საჩქაროდ გაციებასაც ისევ ის აზრი აქვს. საჩქაროდ გაციებულ რძეში ბაქტერიების გამრავლება ფერხდება და რძე მეტ ხანს სძლებს დაუმჟავებელი.

საუკეთესო პასტერიზატორად რძისათვის ითვლება დანიური, რომელიც

აცხელებს რძეს წყლის ორთქლით და თან ურევს კიდევაც რძეს, რომ ჭურჭლის კედლებზე არ მიიწვას და ერთნაირად გაცხელდეს. რძის გასაციებლად ხმარობენ საფრანგეთში ლაურენსის საციებელს.

რძის შენახვა-გასაღებაში ყველაზედ მეტი მნიშვნელობა ჭურჭლის სისუფთავეს აქვს.

რძის ჭურჭელს რეცხავენ სოდის წყლით ან ნაცარტუტით. სოდით გარეცხილს ჭურჭელს წამოაპირქვავებენ და შეუშვებენ შიგ ცხელს ორთქლს, რომ რაც ჭურჭელში ბაქტერიები ჩარჩნენ დაიხოცნენ და თუ რამ კაზეინი დარჩა ჭურჭლის კედლებზედ ისიც მოშორდეს შეკოლტებული. შემდეგ ამისა გამოავლებენ ცივ წყალს და დააწყობენ ჭურჭლებს ერთიერთმანეთზე დაწვენით რომ ჰაერმა გაუაროს და გამოაშროს.

გასუფთავებულს ბიდონებში ჩაასხამენ რძეს და გზავნიან პარიზში ბეჭედ ქვეშ—პირველ ხარისხის რძეს წითელი ბეჭდით დაბეჭდილს და სალამოთი მოწველილს, როგორც მეორე ხარისხისას, შავი ბეჭდით. იმ რძეს, რაც პარიზში გასაგზავნად დაწუნებული იქნება, ჩასდგამენ ჭურჭლებით ცივ წყალში და მეორე დღეს გაჰყავთ სეპარატორში. გასაგზავნად დაწუნებული კარაქიდან ამზადებენ ერბოს. თუ რძე ძაან არის დამჟავებული და სეპარატორში არ გაიყვანება, კოვზით მოხდიან მოგდებულს ზემოდამ ნაღებს და კანდიტრებში ჰყიდიან. ეს კოვზით მოხდილი ნაღები უფრო თხელია და კანდიტრები მას უფრო რჩეობენ, რადგან ადვილად ითქვიფება და მეტიც გამოდის ათქვეფილი, ვიდრე სეპარატორით მიღებული სქელი ნაღები. ამიტომ კანდიტრები ამ თხელ ნაღებში იმდენსავე ფასს აძლევენ, რამდენშიაც სეპარატორით მიღებული სქელი ნაღები იყიდება.

ნაღებმოხდილი რძიდან ცენტრალური ქარხანა ამზადებს კაზეინს სხვა და სხვა ღირსებისას—ზოგს საჭმელად და ზოგს სხვარიგად სახმარებლად.

ვ. რუსიშვილი

საყურადღებო ცნობანი

ახალი უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლები. — მიწათ-მოქმედების მთავარ სამართველოს განუზრახავს გახსნას რამდენიმე ახალი უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი. სხვათა შორის განზრახულია საკითხი ეკატერინოსლავში სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების შესახებ წამოაყენონ როგორც კი დამტკიცდება ანდერძი ს. ნ. კოლაჩაევსკისა, რომელსაც უმეტესი ნაწილი თავის ქონებისა უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისათვის გადუდვია ვერხნედნეპროვსკის მაზრაში.

კანონ-პროექტი ამ სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ უკვე მზად არის და ახლო მომავალში შეტანილი იქნება უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებებში განსახილველად.

—

განზრახულია აგრედვე პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დაარსება ქალაქ სამარაში აგრონომიული და კომერციული განყოფილებებით. გეგმის შედგენა იკისრა სავაჭრო-სამრეწველო სამინისტრომ მიწათმოქმედების მთავარ სამართველოსთან შეთანხმებით.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწათმოქმედების მთავარ სამართველოს ყაზანისა და ნოვოროსიის უნივერსიტეტებში და ხარკოვის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში აგრონომიულ განყოფილებების დაარსების შესახებ წარუდგენია განცხადება საგანათლებო და სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროებში, რომლითაც სთხოვს ამ დაწესებულებებს დააჩქარონ ხსენებულ განყოფილებების გახსნა.

—

იგივე მიწათმოქმედების სამართველოს განუზრახავს ახლო მომავალში წამოაყენოს საკითხი უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ ჩრდილო-დასავლეთ რუსეთში.

—

საგანგებო თათბირს, რომელიც გამართა მიწათმოქმედების სამართველომ, საჭიროდ სცნო დაარსება უმაღლეს სასწავლებლისა სამეურნეო, საგიდროტექნიკო და სამთო განყოფილებებით ქალაქ ტაშკენტში და უმაღლესი გიდრო-ტექნიკური ინსტიტუტისა პეტერბურგში გიდრო-ტექნიკური სამუშაოების უფროს ხელმძღვანელთა მოსამზადებლად. დაწვრილებითი გეგმის შემუშავებას ამ გარდაწყვეტილებათა განსახორციელებლად მიწათმოქმედების სამართველო დღე-დღეზე შეუდგება.

ბესარაბიის აგრონომიული ინსტიტუტი.—ბესარაბიის საგუბერნიო ერობამ გადასწყვიტა დაარსოს ბესარაბიაში აგრონომიული ინსტიტუტი ხელმწიფე-იმპერატორი ალექსანდრე პირველის სახელით. განზრახულია ამ უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელს ადგილობრივი სპეციალური კულტურების შესწავლა დაუსახონ მიზნად. დასაარსებლად მიღებულია 800 ათასი მანეთის გაღება მონასტრების მამულების შემოსავლიდან 8 წლის განმავლობაში. ინსტიტუტის საქმეების მართვა-გამგეობაში მიიღებენ მონაწილეობას თავადაზნაურობის და ადგილობრივ საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, სახელდობრ: საგუბერნიო მარშალი, საგუბერნიო ერობის თავმჯდომარე, ქალაქ კიშინევის ქალაქის თავი, ორი წარმომადგენელი საგუბერნიო ერობისა, ერთი თავად-აზნაურონისა და ერთი წარმომადგენელიც კიშინევის თვითმართველობისა.

საოჯახო საქმეების სასწავლებელი ქალთათვის.—ვიატკის ერობამ გახსნა ამას წინად დაბალი სასწავლებელი ქალებისათვის საოჯახო საქმეების შესასწავლებლად.

ეს სკოლა გაიხსნა ელაბუღის მაზრაში და, როგორც მის წესდებიდან სჩანს, აზრად აქვს მოამზადოს დახელოვნებული სამეურნეო საოჯახო საქმეში მუშაკნი—უფრო კი მესაქონლეობაში და მერძეობაში, მებაღეობაში და მებოსტნეობაში. სკოლა ექვემდებარება მიწათ-მოქმედების მთავარ სამართველოს, რომელიც აძლევს დახმარებას 7480 მან. წელიწადში. თვით ერობა კი იხდის ამ სკოლის სასარგებლოდ 4100 მან. წელიწადში.

ამ სკოლაში შესასვლელად მოეთხოვებათ ქალებს: მოსამზადებელ კლასში—პირველ დაწყებით სკოლის გათავება, ხოლო პირველ კლასში შესასვლელად—ორკლასიანი სასოფლო სკოლის კურსის დამთავრება.

სწავლა გაგრძელდება სამი წელიწადი. ასწავლიან: 1) საღმთო რჯულს, 2) რუსულ ენას, 3) არითმეტიკას, 4) გეოგრაფიას, 5) ისტორიას, 6) ბუნებითი მეცნიერებას (ფიზიკა, ქიმია,

ზოოლოგია, ბოტანიკა), 7) მიწის წესიერად დამუშავებას და მინდვრის მოსავლის მოვლა-მოყვანას, უფრო კი ვრცლად მებაღეობას და მებოსტნეობას, 8) მესაქონლეობას და მერძე-მეყველეობას და საქონლის წამლობას, 9) გლეხთა ყოფა-ცხოვრების შესახებ უმთავრეს კანონმდებლობას და 10) ჰიგიენას და ბავშვის მოვლას.

გარდა ამისა მთელი კურსის განმავლობაში სწარმოებს პრაქტიკული ვარჯიშობა მეურნეობის სხვადასხვა დარგში და საოჯახო საქმეებში. სანოვაგის შესახებ ყოველი საჭირო ცოდნის შესაძენად, მზვარეულობის შესასწავლად, ჭრა-კერვაში გასავარჯიშებლად მეცადინეობენ პრაქტიკულადაც და თეორიულადაც მთელი კურსის განმავლობაში. კურს-დამთავრებულებს ეძლევათ ატესტატები, სადაც აღნიშნულია ის დარგი, რომელიც სპეციალურად აქვს შესწავლილი ატესტატის მიმღებს.

საკუთარი ხარჯით მოსწავლეებს ახდევინებენ წელიწადში 60 მან, ვინც გარედან დაიარება, და 100 მან.,—ვინც ინტერნატში (პანსიონში) შევა.

აგრონომიული მატარებელი.—კავკავის რკინის გზამ 1913 წელს ღვინობისთვიდამ გამართა აგრონომიული მატარებელი შემდგარი 8 ვაგონისაგან. შვიდ მათგანში გამოფენაა გამართული მეურნეობის ყველა დარგიდან და მერვე ვაგონი კი წარმოადგენს მუზეუმს და ლექტორების საცხოვრებელ ბინას. სამი ვაგონი ზემოხსენებულ შვიდიდგან უჭირავს ფრინველებს და მათ მოვლა-გაშენებისათვის საჭირო მოწყობილობას, ერთი ვაგონი დათმობილი აქვს სამეურნეო მანქანა-იარაღებს, ორი ვაგონი მებაღეობას და ერთიც მერძე-მეყველეობაში სახმარ მანქანა-იარაღებს.

ეს მატარებელი დგება დილიდან საღამომდე წინადვე დანიშნულ რკინის გზის სადგურებზე. ამ სადგურთან ბდებარე სოფელს შეეტყობინება ხოლმე წინადვე აგრონომიული მატარებლის მოსვლა და დილიდან ნაშუადღევის სამს საათამდე ხალხს იწვევენ ვაგონში გამოფენის დასათვალიერებლად, ხოლო სამი საათიდან კი სოფლის რომელიმე დარბაზში დეპარტამენტის სპეციალისტთაგან მოწვეული ლექტორები კითხულობენ ლექციებს მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან.

ინგლისიდან გამოწერილი საქონლის ბულები და ჰედილები.—მდგომარე 1913 წლის ზაფხულში მიწათმოქმედების დეპარტამენტმა გამოიწერა ინგლისიდან კვლავანდებურად 4 საქონლის ბუღა **შირტგორნის** ჯიშისა მერძევე საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად რუსეთში, 6 იორკშირის და ბერკშირის ჯიშის ჰედილები და 66 ყოჩი რომნიმარში, ოქსფორდშირდაუნი და ლინკოლნი. დეპარტამენტს ამ საქონლის გამოწერა დაუჯდა დაახლოებით 20.000 მანეთი. გამოწერილი საქონელი დეპარტამენტმა დაურიგა სახელმწიფო, საერებო და ზოგიერთ კერძო დასაგრილებელ სადგურებს სახმარებლად.

„კოოპერატიული“ სოფელი.—სოფელი ლისკოვო, მინსკის გუბერნიაში, საიშვიათო მაგალითს წარმოადგენს, მთელს რუსეთში. ამ სოფლის მცხოვრებლები დღეს უკვე სარგებლობენ იმ შეღავათიანი ცხოვრებით, რომელიც შეიძლება მიენიჭოს სოფელს კოოპერატივების დაარსებით. რომელი ამხანაგობა ანუ კოოპერატივი გნებავთ რომ არ იყოს დაარსებული ამ საიშვიათო სოფელში: მომხმარებელი საზოგადოება, სამეურნეო საზოგადოება, ქალთა წრე, ერბო-კარაქის კოოპერატივი, სახალხო სახლი, საფეიქრო ამხანაგობა, ბავშვებისათვის სათამაშოების მოსამზადებელი სახე-

ლოსნო, ცეცხლის გამქრობთა საზოგადოება, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი, წიგნთსაცავი, სამკითხველო, სამარხო კასა, უძლურთა თავშესაფარი, საზოგადოება „ბუდე“, რომელიც მხრუნველობას უწევს მცირე-წლოვან ბავშვებს, თეატრი და ხორო.

ამას გარდა ამ სოფელში არის საზოგადო საბანაო, სასარეცხო და ბულკების საცხობი. თითქმის ყველა ეს კოოპერატივები დაარსდნენ ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში. მიუხედავად მათი სიმრავლისა ყველა ეს კოოპერატივები მუშაობენ მოგებით: მომხმარებელმა საზოგადოებამ თავისი უკანასკნელი საანგარიშო წელიწადი გაათავა 10.000 მანეთის მოგებით; სამეურნეო საზოგადოებამ იყიდა თავის ხარჯით 20 ვაგონი ხელოვნური სასუქი, შემნახველ-გამსესხებელმა საზოგადოებამ დაურიგა თავის წევრობს 1000 მან. წმინდა მოგება; საფეიქროს წლიური ბიუჯეტი უდრიდა ბოლო წელს 23 000 მანეთს და სხ. ესეთივე წარმატებით მუშაობენ ყველა განმანათლებელი ამხანაგობანი. იმ მცირე ხნის განმავლობაში, რაც ეს განმანათლებელი ამხანაგობანი მოქმედობენ, წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტმა 20-დან დაიწია 8%-მდე. სახალხო სახლი, სადაც ყველა ეს სასოფლო საქმეები სრულდება წარმოადგენს დიდ უზარმაზარ შენობას, მაღალი, ფართე, სინათლით სავსე ოთახებით.

სამელიორაციო სესხი.—მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა სამელიორაციო თანხიდან მისცა ბრიანსკის ერობას 50.000 მან. მეურნეთა დასახმარებლად. დახმარება მიეცემათ სესხობრივ, როგორც ცალკე პირებს ისე მთელს სამეურნეო საზოგიდოებას ერობაში. სესხი მიეცემა სხვათა შორის საქონლისათვის თავლების გასაკეთებლად, საკუთარი მეურნეობით მიღებულ ნაწარმოების დასამუშავებლად, საჭირო შენობების ასაგებად, მაგალითად: ყველ-ერბოს და სხვა სანოვაგეთა დასამუშავებელ ქარხნების, სარდაფების და სხ. გასაკეთებლად და აგრეედვე კარგი ჯიშის საქონლის ბუღების შესაძენად. თუ ჯიშიანი საქონლის სასყიდლად გააქვთ სესხი, სესხის გამტანმა უნდა საქონლის გამყიდველს ქალალდი ჩამოართვას, რომელშიაც უნდა ჩააწერინოს: რა გვარი საქონელია, საფურეა თუ ბუღაა, წლოვანობა, ჯიში და ჩამომავლობა. სამელიორაციო სესხით ნასყიდი ჯიშიანი საქონელი მყიდველმა უნდა შეინახოს და არ გაყიდოს, ვიდრე აღებულს ვალს გადასწყვეტავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ჯიშიანი საქონელი არ შეინახა და გაყიდა, მთელი ვალი სამელიორაციო თანხიდან აღებული ერთბაშად მოეთხოვება ვინიცობაა ნასყიდი ჯიშიანი საქონელი მოკვდა რაიმე მიზეზით, პატრონმა უნდა მოიწვიოს პოლიცია და შეამოწმებინოს რა მიზეზით მოკვდა საქონელი და ოქმი იგი წარუდგინოს ერობის გამგეობას. თუ საქონლის დამზღვევი საზოგადოება არსებობს აღგილობრივ, უნდა ნასყიდი სამელიორაციო თანხით ჯიშიანი საქონელი დაზღვეულ იქმნეს ამ საზოგადოებაში იმ უდიდეს ფასში, რამდენშიაც კი, თანახმად საზოგადოების წესდებისა, შეიძლება დაზღვევდეს ესეთი საქონელი. სამელიორაციო სესხის გამტანი თვათ უნდა იყოს მესაქონლე, ჰყვანდეს უკვე საქონელი და ჰსურდეს ამ საქონლის გაუმჯობესობა. სამელიორაციო თანხიდან სოფლის საზოგადოებასაც და კერძო პირსაც შეიძლება მიეცეს სესხად არა უმეტეს სამი მეოთხედის იმ ფასისა, რაც ჯიშიანი საქონლის შეძენა დაჯდება. ამასთანავე სესხი კერძო პირზედ გაცემული არ უნდა აღემატებოდეს ყოველ შემთხვევაში 1500 მანეთს ბუღების შესაძენად და 5000 მანეთს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგის გასაუმჯობესებლად. უდიდესი ვადა უნდა იყოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო დარგთა გასაუმჯობესებლად გატანილ სესხისთვის 10 წელიწადი და საქონლის ბუღების შესაძენად 5 წელიწადი. სამელიორაციო სესხი გაიცემა 4 პროცენტობაზე.

პრიურალის მერძევეთა ამხანაგობის თხოვნით მიწათმოქმედების დეპარტამენტმა მიიღო გარდაწყვეტილება: სამელიორაციო სესხი აძლიოს მერძევეთა ამხანაგობასაც **ყველის ქარხნების ასაშენებლად და მათი მოწყობილობის შესაძენად**. ესეთი სესხი მიეცემათ მერძევეთა ამხანაგობებს ჯერ ორენბურგის და პერმის გუბერნიებში 7 წლის ვადით, 4 პროცენტობაზედ წელიწადში, რაოდენობით არა უმეტეს სამი მეოთხედი იმ ხარჯთ-აღრიცხვისა, რომელიც იქნება ამ საქმისათვის შედგენილი. სესხის უზრუნველ-საყოფად შენობაც და მოწყობილობაც დაგირავდება სესხში და გარდა ამისა ჩამოერთმევათ ამხანაგობის წევრებს საურთიერთო პასუხისმგებლობა. ამხანაგობამ, რომელსაც სურს ასეთი სესხის გატანა, უნდა წარუდგინოს დეპარტამენტს: გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა ქარხნისა და მის მოწყობილობის, რომელიც უნდა შესრულდეს ნასესხები ფულით; ამხანაგობის პირობა-შეკრულობა ანუ მისი კოპია შემოწმებული; ცნობები იმის შესახებ, თუ რა შეძლება აქვს თითოეულ ამხანაგობის წევრს; იმ ადგილის, რომელზედაც აპირებენ ქარხნის გაკეთებას, ნასყიდობის ქალალდი ან და საიჯარო პირობა-შეკრულობა მემამულესთან, თუ ეს ადგილი ამხანაგობას იჯარით აქვს აღებული. საიჯარო ვადა ყოველ შემთხვევაში მეტი უნდა იყოს ორის წლით მაინც იმ ვადაზედ, რომლითაც სურთ სამელიორაციო სესხის გატანა.

ადგილობრივი ჯიშის საქონლის მნიშვნელობა.—ფატიშთა **ეკონომიური საზოგადოება** ზედამხედველობას უწევს კურლიანდის გუბერნიაში 140 საკონტროლო კვეშირს. ყველა ეს კვეშირები მოდვაწეობენ საკუთარის ხარჯითა და ძალდონით. ყველანი მომხრენი არიან ადგილობრივი ჯიშის საქონლის გამრავლებისა და მხოლოდ კურლიანდელ ძროხებს უწევენ კონტროლს. ანგელენის, ჭოლანდიის და სხ. ჯიშების ძროხებს კურლიანდელები სრულებით უარს ჭეოფენ ადგილობრივს ბირობებში, რადგან ამტკიცებენ რომ ეს სხვაგნებური საქონელი იმდენად სახეირო არ არის, რამდენადაც ადგილობრივი ჯიშისანი ადგილობრივ ბირობებში.

ფრიშმანის გამოკვლევით ანგელენის ჯიშის საქონლიდან ჭლერქით ავად ხდება კურლიანდიაში 80—95%; ადგილობრივი კი მარტო 1—2%. ამ გამოკვლევის წაკითხვის შემდეგ კურლიანდელ მესაქონლეებმა ერთხმად დაადგინეს იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რათა **აკრძალულ იქმნეს** კანონით **ანგელენის ჯიშის საქონლის შემოყვანა და გამრავლება კურლიანდის გუბერნიაში.**

სანოვაგეთა ლაბორატორია.—ცემბირის ქალაქებში: კაინსკში, სემიპალატინსკში, კურგანში, ბარნაულში და ომსკში არსებულთ რძისა და სხვა საჭმელის დაბორატორიებს მდგომარე 1913 წლიდან მიწათმოქმედების დეპარტამენტმა სამ-სამი ათასი მანეთის მაგივრად 10120 მანეთი დახმარება აღუთქვა წლიურად თითო დაბორატორიას. ქალაქ ტომსკში არსებულ სარძეო დაბორატორიას კიდე 18110 მანეთი წლიურად, მაგიერ 6600 მანეთისა, რომელიც აქამომდე ეძლეოდა ამ დაბორატორიას დეპარტამენტიდან.

ურიგო არ იქნება რომ ქართველმა საუურნეო საზოგადოებამ ისარგებლოს დამსახურებულ ბრიოველორის **პ. გ. მელიქიშვილის** ტფილისში ჩამოხვლით და მისი ხელმძღვანელობით რაგორც ისეთი ბირის, რომლის კომპეტენცია ცნობილია მთელს ევროპაში, დაარსოს სხვადასხვა ქიმიურ გამოკვლევათა მოსახდენად ერთი ბატარა დაბორატორია მაინც, მით უმეტეს რომ ასეთი დაბორატორია მიწათმოქმედების დეპარტამენტიდან მიიღებდა დახმარებას მთელი იმ ხარჯის გასწევად, რაც ეოველწლიურად დასჭირდებოდა.

რედაქ.-გამომცემელი **ვ. ი. რცხილაძე**